საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4437/01
05/05/2021

4437-01-2-202105051020

შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტს“

მის: ქ. ფოთი, თ. დავითაიას ქუჩა #102

ელ.ფოსტა: bswmge@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი სკრინინგის განცხადება (N6038; 05.04.2021), რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხორგაში ნარჩენების განთავსების (ინსინერაცია) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

როგორც სამინისტროს 2021 წლის 10 თებერვლის N1080/01 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში დეტალურად უნდა ყოფილიყო აღწერილი საწარმოში მიმდინარე საქმიანობა, ამასთან წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ინფორმაცია საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად, დამატებით სალექარის და წყლის გამწმენდი აუზის როგორც მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად. თქვენ მიერ განახლებულ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის საწარმოს მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში დამატებით სალექარის და წყლის გამწმენდი აუზის როგორც მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის სრულყოფილი და საჭიროებს დაზუსტებას. დამატებით გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია საწარმოს

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გარემოს თითოეულ კომპონენტზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ.

სამინისტრო, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე